2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და 2026 წლის დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის

სხდომის ოქმი N 1

ქ.დმანისი 29.05 2025 წ.

2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის სამუშაო ჯგუფის“ სხდომა ჩატარდა 2025 წლის 29 მაისს. მერიის ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართი ქ.დმანისი,წმინდა ნინოს ქ.N41-ში.

სამუშაო ჯგუფის სხდომა მოწვეულ იქნა „დმანისის მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 28 თებერვლის ბრძანების №108. 1082505955 და აღნიშნულ ბრძანებაში შეტანილი ცვლილების 2025 წლის 2 მაისის N108.108251223 საფუძველზე.

დმანისის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის მერის2025წლის 28 თებერვლის №108.1082505955 ბრძანების და აღნიშნულ ბრძანებაში შეტანილი ცვლილების 2025 წლის 2 მაისის N108.108251223 შესაბამისად სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე კახა პეტრიაშვილი.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრას ესწრებიან:

1. დმანისის მუნიციპალიტეტის მერი კობა მურადაშვილი.
2. სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე კახა პეტრიაშვილი.
3. სამუშაო ჯგუფის წევრები: მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეები, მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და ააიპ-ების ხელმძღვანელები

დღის წესრიგი:

1. **პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების პროცესში არსებული ხარვეზები და მათი აღმოფხვრის გზების განხილვა**
   მომხსენებელი: დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ხემლძღვანელი ბექა ლაგურაშვილი
2. **საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დოკუმენტის სამუშაო ჯგუფისთვის წარდგენა**
   მომხსენებელი: დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი თემურ ტატულაშვილი

სამუშაო ჯგუფმა მოისმინა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი შენიშვნები, კერძოდ: პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების პროცესში კანონმდებლობით გათვალისწინებული

მეთოდოლოგიის არასწორად გამოყენება, ვადების დარღვევა, ბიუჯეტის კვარტალური გადანაწილების პროცესში არსებული ხარვეზები და არასწორი განწერა. არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გაიცა რეკომენდაციები და მათ გასათვალისწინებლად სამუშაო ჯგუფის წევრთათვის განისაზღვრა წინადადებების წარმოდგენის ვადა - მიმდინარე წლის 15 ივნისი.

დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელმა თემური ტატულაშვილმა ჯგუფის წევრების წინაშე ისაუბრა 2025 წლის 2025 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის თაობაზე და წარადგინა ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის 2026-2029 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დოკუმენტის შესახებ (დანართების მიხედვით), რომელიც შესადგენია მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების მხედველობაში მიღებით და პრიორიტეტის დოკუმენეტით განსაზღვრული პარამეტრების გათვალისწინებით.

სამუშაო ჯგუფი შეთანხმდა, რომ შესრულებულ იქნას შიდა აუდიტისა და საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელთა მიერ გაცემული რეკომენდაციები.

სამუშაო ჯგუფის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები არ დაფიქსირდა, სხვა საკითხები არ განხილულა.

სხდომის დასრულების დრო: 29/05/2025 20:15 სთ

სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი:

მერის პირველი მადგილე კახა პეტრიაშვილი

სამუშაო ჯგუფის მდივანი:

განათლების კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი